



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010175545145717

02 / აგვისტო / 2017 წ.
№ 543/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით N165 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს "ჯეოსელი"-ს 2017 წლის 22 ივნისის N2/266-17 და 17 ივლისის N2/319-17 წერილებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 31 ივლისის N15286/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს N165 ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტებზე:

ა) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული მცხეთა-ფასანაურის სატყეო უბანი, ჯვრის სატყეო, კვარტალი N55, ლიტერი N21 – 96 მ² (საკადასტრო კოდი: 72.07.07.949).

ბ) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული ზესტაფონი-ხარაგაულის სატყეო უბანი, ბორითის სატყეო, კვარტალი N42, ლიტერი N6 – 96 მ² (საკადასტრო კოდი: 36.04.34.336).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.


3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ბლიაძე) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის

განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი